ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 6 დეკემბრის ბიუროს რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარე დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 6 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 24

დ. ხარაგაული
9 აპრილის ქ. #15

6 დეკემბერი 2023 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით კიკნაძე,

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

ამირან ოქრომჭედლიძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პაატა გოგოლაძე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

პავლე კიკალიშვილი საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

ბესიკი კვირიკაშვილი ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,

მარინე ხვედელიძე განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

შალვა ლურსმანაშვილი ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე

ირმა ვეფხვაძე ფრაქცია ,,ხარაგაულისთვის" თავმჯდომარე

სათათბირო ხმის უფლებით:

ქეთევან ზუმბაძე ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილე,

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

ვლადიმერ გელაშვილი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ს. გლუნჩაძე ოპერატორი

საკრებულოს აპარატი:

ლ. კალანდაძე საკრებულოს აპარატის უფროსი,
ზ. ორბელაძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,
ნ. თხელიძე საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ,
ი. ჭიპაშვილი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დავით კიკნაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 8 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

მომხს: დავით კიკნაძე

საკითხთა ნუსხა

1. „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

თანამომხს: ვარლამ ჭიპაშვილი

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიურო 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის ვარლამ ჭიპაშვილის ინფორმაცია საკითხზე „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 დეკემბრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, მან ძირითადი ყურადღება გაამახვილა 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების მიზეზებზე და მიზნებზე (ინფორმაცია ოქმს თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

ქ. ზუმბაძემ , საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ, რომელმაც დასვა შეკითხვა საახალწლო ღონისძიებისთვის 290 000 ათასი ლარის შესყიდვა ვის მიერ განხორციელდება და კიდევ ის რაც ჩვენი ძალებით შეიძლება გაკეთდეს რატომ უნდა გადავიხადოთ თანხა .

ვ. ჭიპაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ შესყიდვა განხორციელდება მერიის მიერ, ვერ ვიტყვი გადაჭრით მაგრამ ვფიქრობ, რომ გამარტივებული წესით, რადგან ახალ წლამდე ცოტა დროა დარჩენილი

შ. ლურსმანაშვილმა ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარემ, რომელმაც გამოთქვა მოსაზრება, რომ საახალწლო ღონისძიებები კარგია, კინოთეატრი აუცილებელია მაგრამ უნდა მიეხედოს დაბაში თაბუკაშვილისა და ჭიპაშვილის ქუჩების დაზიანებების აღმოფხვრას.

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ უპასუხა, რომ წლის ბოლომდე ჩვენ კიდევ ველოდებით მთავრობიდან თანხას და გავითვალისწინებთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს 8 დეკემბერის რიგგარეშე სხდომაზე

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი

მომხრე 8

წინააღმდეგი

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილი იქნეს 2023 წლის 8 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2023 წლის 8 დეკემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**